



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აკადემიკოსი მიქაძე

ბარემოზა
ზემოქმედების
შეფასება და
ბარემოსდასვპით
ინფორმაციაზე
ხელმისაწვდომობა

ასოცირების შეთანხმების
შესრულების ანბარიში

2019

**ბარემოზა ზემოქმედების შეფასება
და ბარემოსდაცვით ინფორმაციაზე
ხელმისაწვდომობა**

ასოციაციის შეთანხმების შესრულების ანგარიში

ეკატერინე მიქაძე

თბილისი
2019



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ეს კვლევა შეიქმნა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ტელეფონი: (+995 32) 2 39 90 19
ელექტრონული ფოსტა: office@csrdg.ge
www.csrdg.ge

სარჩევი

შესავალი	5
საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები.....	6
საქართველოს მიერ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები	9
ძალაში შესვლა და ადმინისტრირება	12
კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებს	13
გამოვლენილი ხარვეზები.....	18
გამოყენებული ლიტერატურა:	22

შესავალი

ეს ანგარიში მომზადდა პროექტის – „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ – ფარგლებში და მიმოიხილავს გარემოს დაცვის სფეროს ასოცირების შეთანხმების საკითხებს ქართულ კანონმდებლობასთან მიმართებაში. უფრო კონკრეტულად, ნაშრომი აფასებს გარემოზე ზემოქმედებას და გარემოსდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომას ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების თვალსაზრისით და გატარებული და გასატარებელი ღონისძიებების შესაბამისობას არსებულ კანონმდებლობასთან.

ნაშრომში გამოყენებული ძირითადი დოკუმენტები:

- 2011 წლის 13 დეკემბრის N2011/92/EU დირექტივა გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ;
- 2001 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/42/EC დირექტივა გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ;
- ევროკავშირის 2003 წლის 28 იანვრის 2003/4/EC დირექტივა საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ;
- 2003 წლის 26 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/35/EC დირექტივა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ;
- 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას;
- საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი;
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ ნევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის;
- მხედველობაში იქნა მიღებული მთავრობის მიერ გაკეთებული ანგარიშები, ასოცირების შეთანხმებისთვის განკუთვნილ სპეციალურ პორტალებზე, სამინისტროს ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია, ტექნიკური თუ ფინანსური მხარდაჭერის განმახორციელებელი ორგანიზაციების პროექტების ანგარიშები, არასამთავრობო სექტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და სხვ. უფრო კონკრეტულად: გარემოს დაცვის შესახებ კანონი; ანგარიში გარემოს მდგომარეობის შესახებ; ბრძანება გარემოსდაცვითი ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ; გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგია და გარემოსდაცვითი მოქმედებების ეროვნული პროგრამები. ყველა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი პირდაპირ, მთლიანად ან ნაწილობრივ, არეგულირებს იმ სამართლებრივ საკითხებს, რომლებიც გარემოსდაცვითი მიმართულებით ასოცირების შეთანხმებით საქართველოს აქვს დაკისრებული შესასრულებლად. კვლევაში გამოხატულია ხელმინასვდომი ინფორმაციის ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული ავტორის პირადი შეხედულებები.

საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი გულისხმობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების არსებული სისტემის ახალი სისტემით შეცვლას საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული შესაბამისი დირექტივების მიხედვით. გარემოსდაცვითი შეფასებისთვის ახალი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად საჭირო გახდა კანონმდებლობის შემდეგ დირექტივებთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა:

- გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრირება **2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU დირექტივა** გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, რომელიც მოიცავს:
- ეროვნული კანონმდებლობის მიღებასა და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრას;
- მოთხოვნების ჩამოყალიბებას, რომლითაც I დანართის პროექტები დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) და პროცედურების შემუშავებას II დანართის პროექტების გზმ – სათვის დასაქვემდებარებლად;
- იმ ინფორმაციის განსაზღვრას, რომლის წარდგენაც მოეთხოვება საქმიანობის განმასრულებელს;
- გარემოს დაცვის უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცედურების განსაზღვრას;
- ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დონეზე ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და

დროული განხილვის პროცედურების დანერგვას, რომელშიც ჩართულნი იქნებიან საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ¹.

ამ დირექტივის კონკრეტული სავალდებულო მუხლები, რომლებიც ასოცირების შეთანხმებით არის გათვალისწინებული, სრულადაა ასახული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში. კოდექსი მოიცავს გავრცელების სფეროსა და იმ სუბიექტთა საკითხებს, რომლებსაც ეხებათ აღნიშნული დირექტივა ან რომელთა საქმიანობაც ექვემდებარება სავალდებულო სკოპინგის პროცედურას.

- გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ **2001 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/42/EC დირექტივა**, რომელიც მოიცავს:
- ეროვნული კანონმდებლობის მიღებასა და კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრას;
- პროცედურის ჩამოყალიბებას, რომლითაც განისაზღვრება, თუ რომელი გეგმა ან პროგრამა მოითხოვს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას და შესაბამისი მოთხოვნების შემუშავებას, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება აღნიშნული გეგმები და პროგრამები;
- გარემოსდაცვით უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტაციებისათვის პროცედურების განსაზღვრას;
- ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციების მექანიზმის შემუშავებას ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებთან, რომელთა გარემოზეც პროექტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს;²

ამ დირექტივისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილი შესაბამისობაშია ერთმანეთთან, კერძოდ, გათვალისწინებულია და დეტალურად არის აღწერილი ყველა ის სფერო, რომელიც მოითხოვს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას. კონკრეტული სფეროების ჩამონათვალი დეტალურად შემდეგ თავშია განხილული. კოდექსში ასახულია გამონაკლისებიც, რომლებიც არ ექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას (უსაფრთხოება და საფინანსო/საბიუჯეტო გეგმები), ასევე საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობის საკითხები. დირექტივის შესაბამისია ის კრიტერიუმებიც, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიული

1 ასოცირების შეთანხმება, დანართი XXVI, გარემოს დაცვა

2 ასოცირების შეთანხმება, დანართი XXVI, გარემოს დაცვა

დოკუმენტის განხილვის დროს მისი მახასიათებლების დასადგენად. აღნიშნულია, კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გეგმებზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების აუცილებლობა, რაც იმეორებს დირექტივის მოთხოვნებს.

- **ევროკავშირის 2003/4/EC დირექტივა** “საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ”, რომელიც მოიცავს:
- ეროვნული კანონმდებლობის მიღებასა და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრას;
- პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი და შესაბამისი გამონაკლისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას;
- პროცედურების შემუშავებას იმ გადაწყვეტილებების განსახილველად, რომელთა საფუძველზეც არ მოხდა, ან თუ მოხდა, მხოლოდ ნაწილობრივ, გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემა;
- საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელების სისტემის დანერგვას³;

ამ დირექტივის სავალდებულო მუხლები გადმოტანილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის #12 ბრძანებაში, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესს. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, იმ ფორმით, რა ფორმითაც მას ამ ინფორმაციის მიღება სურს. ბრძანებით დგინდება ის ელექტრონული ვებ-გვერდები, სადაც მოსახლეობას შეუძლია გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღება. დეტალურად არის განსაზღვრული ის საკითხები, რომელთა გამოქვეყნებაც სამინისტროს დირექტივის შესაბამისად ევალება.⁴ ბრძანებით გათვალისწინებულია ინფორმაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მისი ადმინისტრაციული გასაჩივრების წესი. ბრძანება ითვალისწინებს დირექტივის ყველა სავალდებულო მუხლს და ვრცელდება დირექტივით გათვალისწინებულ ყველა სუბიექტებზე.

- **2003 წლის 26 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/35/EC დირექტივა** გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, რომელიც მოიცავს:
- ეროვნული კანონმდებლობის მიღებასა და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრას;
- საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმის შემუშავებას;
- საჯარო კონსულტაციების მექანიზმის შემუშავებას;
- მექანიზმის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მხრიდან შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღებასა და გათვალისწინებას;
- საზოგადოებისათვის ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დონეზე ეფექტიანი, დროული და მატერიალურად ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების უზრუნველყოფას⁵.

აღნიშნული დირექტივის მოთხოვნები ცალკეულ საკანონმდებლო აქტებშია გაბნეული. კერძოდ, გარემოს დაცვის შესახებ კანონში, სადაც განისაზღვრა საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრინციპი, და საზოგადოების მონაწილეობა მდგრადი განვითარების გეგმების შემუშავებისას. გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების ჩართულობა გათვალისწინებულია აგრეთვე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილშიც. მინისტრის ბრძანებით, საზოგადოების ინფორმირებულობისათვის გამოიყო გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდი, რომელიც მისცემს საზოგადოებას საშუალებას, საჯარო ინფორმაციის გაცემის წესის შესაბამისად, მიიღოს სასურველი ინფორმაცია. მინისტრის ბრძანებით ცალკე განისაზღვრა საჯარო განხილვის წესი, რომელიც არეგულირებს გადაწყვეტილების მიღებისას გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობასთან დაკავშირებით დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობას; კანონში გათვა-

3 ასოცირების შეთანხმება, დანართი XXVI, გარემოს დაცვა

4 #გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება #12, გარემოსდაცვითი ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის შესახებ

5 ასოცირების შეთანხმება, დანართი XXVI, გარემოს დაცვა

ლისწინებულ მოთხოვნები გამოიყენება აგრეთვე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტის პროექტსა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე რეკომენდაციების გაცემისას; გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელებისას.⁶

- 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს **2004/35/EC დირექტივა** გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას, რომელიც მოიცავს:
- ეროვნული კანონმდებლობის მიღებასა და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრას სამი წლის ვადაში;
- წესებისა და პროცედურების დანესებას, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოზე (წყალი, ხმელეთი, ცხოველებისა და მცენარეების დაცული სახეობები და ბუნებრივი საცხოვრებელი გარემო) ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას – “დამაბინძურებელი იხდის” – პრინციპზე დაყრდნობით;
- „არსებული საუკეთესო ტექნოლოგიები“-ს (Best Available Techniques BAT) გამოყენებით, ზიანის გამოსწორების ალტერნატივების შეფასებასთან დაკავშირებულ დებულებებს – მკაცრი პასუხისმგებლობის დანესებისთვის სახიფათო საქმიანობების განმახორციელებელ სანარმოებში;
- ოპერატორებისათვის ვალდებულებების დანესებას, რათა განახორციელონ პრევენციული და აღდგენითი ღონისძიებები, მათ შორის ზარალის ანაზღაურება;
- მექანიზმების შემუშავება დაზარალებული პირებისათვის, მათ შორის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რათა მათ გარემოს დაბინძურების შემთხვევაში მოითხოვონ კომპეტენტური ორგანოებისაგან რეაგირება, დამოუკიდებელი დასკვნის გაცემა და ა.შ.⁷;

დირექტივის შესაბამისად, შემუშავებულია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონპროექტი, რომელიც ცალკე იქნება განხილული.

- ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენცია (Espoo, 1991, the Espoo (EIA) Convention) და ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის პროტოკოლი სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებით (კიევი 2003).
- „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენცია.
- ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ გარემოსდაცვითი მიმართულებით შედგენილი იყო ე.წ. საგზაო რუკა, სადაც ჩამოთვლილი იყო საქმიანობა, ამ საქმიანობის განხორციელების ვადები, განმახორციელებელი პასუხისმგებელი ორგანოები, დაფინანსების წყაროები და ინდიკატორები.⁸ ეს დოკუმენტი მიზნად ისახავდა გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერას ვალდებულებების შესრულების პროცესში. სამინისტრო ყოველწლიურად აწვდიდა ანგარიშს ევროკავშირის შესაბამის წარმომადგენლებს. გარდა საგზაო რუკისა, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი შეფასების საკითხები ასახულია ასოცირების დღის წესრიგშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა უნდა გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს.⁹

6 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-94 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4054941?publication=0>

7 ასოცირების შეთანხმება, დანართი XXVI, გარემოს დაცვა

8 საგზაო რუკა

http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/AA-DCFTA_Roadmap_GEO.aspx

9 ასოცირების დღის წესრიგი, 2017-2020

https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf

საქართველოს მიერ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები

ზემოთ ჩამოთვლილი დირექტივების შესასრულებლად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა გარემოსდაცვის შეფასების კოდექსი, რომელშიც შევიდა დირექტივების ნაწილი, ხოლო ზოგიერთი დირექტივისათვის განისაზღვრა დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტის მიღების საჭიროება. ასოცირების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, კერძოდ, 3 წლის ვადაში. 2017 წელს მოხერხდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დამტკიცება პარლამენტის მიერ, თუმცა მისი ამოქმედება განისაზღვრა ეტაპობრივად. კოდექსის ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან, ხოლო სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილი 2018 წლის 1 ივლისიდან.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შემუშავების პროცესში, გარდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტებისა, ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ტექნიკური პროგრამის „მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში“ (EaP GREEN) ფარგლებში. კანონპროექტის მომზადების პროცესში რამოდენიმეჯერ ჩატარდა საჯარო განხილვა და სამინისტროს გაეგზავნა შესაბამისი კომენტარები და შენიშვნები, თუმცა, ცალკეულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ მათი შენიშვნების გათვალისწინება და სათანადოდ ასახვა კოდექსში არ მომხდარა¹⁰.

რაც შეეხება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდებას და საზოგადოების ჩართულობას, დირექტივა ამ მიმართულებით გულისხმობს არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ სისტემური ღონისძიებების გატარებას, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება. უფრო კონკრეტულად, დირექტივა გულისხმობს ელექტრონული ტექნოლოგიების საშუალებით საზოგადოების სისტემატური ჩართულობის უზრუნველყოფას. ამ მიზნით, სამინისტროს საქვეუწყებო დანესებულება, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში შეიქმნა ვებ-გვერდით www.eiec.gov.ge სადაც დაინტერესებულ პირებს ეძლევათ საშუალება მიიღონ ელექტრონული ინფორმაცია სამინისტროში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ მიმდინარე პროცესებზე. იმისთვის, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, ვებ-გვერდზე განთავსდა ასევე ელექტრონული სერვისები. შეიქმნა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა, რომელიც სთავაზობს საზოგადოებას უფრო დეტალურ ინფორმაციას რიოს სამი კონვენციის მიხედვით მიმდინარე პროცესებზე. პროექტი „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ითვალისწინებდა სათაურში აღნიშნულ საკითხებზე კონცენტრირებას. ამ საინფორმაციო სისტემაში მოცემული უნდა ყოფილიყო რიოს სამი კონვენციის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და გაუდაბნოების შესახებ საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია. ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების სირთულის გამო, პროექტის ყველა კომპონენტი ამ ეტაპზე არ არის შესრულებული. ძნელად მოსაპოვებელი სტატისტიკური მონაცემებიც, რომელიც ამ კონვენციების დანერგვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისთვის არის აუცილებელი. გარკვეული ცნობების მოპოვება შესაძლებელია <https://eims.eiec.gov.ge> ვებ გვერდზე. საინტერესოა, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ელექტრონული საინფორმაციო ბაზის საშუალებით მოსახლეობას შეუძლია დააკვირდეს ატმოსფერულ ჰაერში არსებულ მდგომარეობას შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://air.gov.ge/>.

საზოგადოების ჩართულობის გასაძლიერებლად, შევიდა ცვლილება „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლშიც, სადაც განიმარტა „გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ მნიშვნელობა. საქართ-

10 მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და წინადადებები „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ კანონპროექტის შესახებ, დეკემბერი, 2015
http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/12/GA_review_of_draft_EIA-SEA_law_Dec2015.pdf

ველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაამტკიცა „საჯარო განხილვის წესი“, სადაც განისაზღვრა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის წესი და პირობები¹¹. ასევე საჯარო განხილვების ჩატარების ვადები, მონაწილეობის პირობები და პასუხისმგებელი ინსტიტუტები. ამ ბრძანების შესაბამისად, თვითონ სამინისტროს ვებ-გვერდზე ქვეყნდება საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია, სადაც ასახულია სად და როდის შეიძლება საჯარო განხილვაში მონაწილეობა, სად შეიძლება წერილობითი შენიშვნების გაგზავნა, ვინ არის პასუხისმგებელი ორგანო და სხვა.¹²

2017 წლის 27 მარტს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება #12-ით განისაზღვრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წესი.¹³ ბრძანებით განსაზღვრულია კონკრეტულად რა ინფორმაცია ექვემდებარება გამოქვეყნებას. ამასთან, ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებულია რა ინფორმაცია გამოითხოვს და მოხდა თუ არა ამ ინფორმაციის გაცემა. შეიქმნა მონაცემთა გადამონმებისა და ვალიდაციის წესი. ცენტრის ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის გრაფაში მოცემულია ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტისა თუ ანგარიშის გამოქვეყნების ვადა. ვებ-გვერდს დაემატა „ელექტრონული შეტყობინების“ ფუნქცია, რომელიც ავრცელებს ახალ ამბებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობებისა და საჯარო განხილვების შესახებ, ასევე, შეტყობინებებს ფიზიკური პირების მიერ გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

„გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა დამატებით შეიმუშავა საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფები, ინფორმაციის გავრცელების სახეები (საინფორმაციო ბიულეტენი, სასწავლო საჩვენებელი მასალები, ტრენინგები და ა.შ) და სამიზნე ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფის საშუალებები. ცენტრი ვალდებულია ყოველწლიურად აწარმოოს ანგარიშგება განხორციელებულ საქმიანობაზე, თუმცა, ბოლო ანგარიში, რომელიც ვებ-გვერდზეა განთავსებული მოიცავს 2013-2017 წლებს, რაც გამოწვეულია სამინისტროს სხვადასხვა უწყებიდან ინფორმაციის დროულად ვერმიწოდებით. საინფორმაციო სისტემის ერთიანი ბაზის შექმნა მინიმუმამდე დაიყვანდა ამ პრობლემას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი მოქმედებების მესამე ეროვნულ პროგრამაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი საინფორმაციო სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც გვანჯდის ინფორმაციას გარემოს მდგომარეობისა და პოტენციური ან არსებული დაბინძურების წყაროების შესახებ. ანგარიშში ნათქვამია, რომ მონიტორინგის შესაძლებლობა ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა. სტაბილურად იზრდება გაზომვების შესაძლებლობებიც. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები ეროვნულ დონეზე, შეფასების გასაკეთებლად საჭირო სტატისტიკური მონაცემების მოპოვების თვალსაზრისით. (მაგ: თვითმონიტორინგის, მოდელირების გამოყენების ანალიზისა და პროგნოზირების მონაცემების¹⁴) აქვე აღნიშნულია, რომ უნდა მოხდეს გარემოსდაცვითი მონაცემე-

11 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის #2-94 ბრძანება „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4054941?publication=0>

12 დანვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ვებ-გვერდი <https://mepa.gov.ge/Ge/PublicDiscussion>

13 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27 მარტი, 2017

14 გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა [http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95.aspx](http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95.aspxhttp://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95.aspx)

ბის მართვის სისტემის გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, რისი ერთ-ერთი საფუძველიც გახდება „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ 2018-2022 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მიღება და განხორციელება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე პერიოდულად იდება ინფორმაცია გარემოს დაცვითი მოქმედებების ანგარიშის შესრულების თაობაზე, აქ განთავსებულია როგორც მონიტორინგის ანგარიში, ისე წლიური ანგარიშები.

რაც შეეხება გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას, კანონმდებლობით დადგენილია, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს შემდეგს: საჯარო უწყება 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტავს მის უფლებებსა და გასაჩივრების წესს, იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფზე თუ საჯარო დაწესებულებაზე მითითებით, რომლებთანაც წარმოებდა კომუნიკაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადანყვეტილების მიღებისას (ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა). ევროკავშირის ქვეყნებში გამოიყენება შიდა განხილვის ფორმა, რომელიც ასევე გულისხმობს ადმინისტრაციულ ორგანოში უარის თქმის საფუძველის დადგენას და შესაბამის რეაგირებას. თუმცა, თუ მოქალაქეს არ დააკმაყოფილებს შიდა განხილვის შედეგები, მას შეუძლია მიმართოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის კომისარს, საჯარო უწყება ვალდებული იქნება დაემორჩილოს იმ წესებს, რასაც დაადგენს გარემოსდაცვითი ინფორმაციის კომისარი.¹⁵ საქართველოში მსგავსი მექანიზმი არ არსებობს.

კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობასა და ჩართულობას ეძღვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მეოთხე თავი.

[%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95.aspx](https://www.ocei.ie/making-an-appeal/how-to-appeal/)

15 გარემოსდაცვითი ინფორმაციის კომისარის ელექტრონული გვერდი <https://www.ocei.ie/making-an-appeal/how-to-appeal/>

ქალაქში შესვლა და ადმინისტრირება

კოდექსის თავდაპირველი ვერსიით, ახალი გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის მთავარი განმახორციელებელი და პოლიტიკის გამტარებელი არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამიტომ, განისაზღვრა გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის გაძლიერება ადამიანური რესურსების თვალსაზრისით. ასევე, გათვალისწინებული იყო სამინისტროსა და მის სსიპ-ებთან არსებული გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზებისა და სივრცულ მონაცემთა ტექნიკური ინტეგრაციისა და ერთიან სამუშაო სივრცეში სისტემატიზაციის დაგეგმვა და უნიფიცირებული გეოინფორმაციული ელექტრონული სისტემის პორტალის GIS და ბიზნეს პროცესების მოდელირებისა და ნოტაციის ავტომატიზირებული სისტემის (BPMN/CMMN) შექმნა. სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში საშტატო ცვლილება აისახა სამინისტროს საშტატო ნუსხაში, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის განკარგულებით¹⁶. სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის ფარგლებში.

გარდა ამისა, მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის შექმნისათვის სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა შესაბამისი თანხები¹⁷. პორტალის მიზანია, გარემოსდაცვითი მართვის ინტეგრირებული სისტემის შექმნა, რომლის დანიშნულებაც ცენტრალურ და რეგიონულ მართვის სტრუქტურებსა და მათთან დაკავშირებულ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა და საზოგადოებისათვის ამ მონაცემებთან წვდომის გაუმჯობესება. გარდა ამისა, აუცილებელი გახდა საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის უზრუნველსაყოფად სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყოფა, რაც განხორციელდა და აისახა საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებებში.¹⁸

16 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება #572, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23 დეკემბერი, 2016

17 საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, გვ 80-82 <https://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2016/kanoni/danartebi/ganmaxorcieleblebi.pdf>

18 საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, თავი 5, მუხლი 14, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13/12/2017, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3938064?publication=3>

კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებს

საქართველოში, კოდექსის მიღებამდე, მოქმედებდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პროცედურა, რომელიც ახალი კანონმდებლობით სრულიად გაუქმდა, ასევე გაუქმდა ამ ნებართვის და სამშენებლო ნებართვის ურთიერთკავშირი, შესაბამისად, ახალი კოდექსით გარემოსდაცვითი შეფასება აბსოლუტურად დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, რომელიც სხვა ნებართვების მიღებას წინ უნდა უსწრებდეს ან მის პარალელურად მიმდინარეობდეს. კერძოდ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში აღნიშნულია, რომ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული ნებისმიერი ნებართვა/ლიცენზია, ძალაში შედის ან მისი რომელიმე სტადია სრულდება, მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდგომ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.¹⁹ როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის უშუალო გამნახორციელებლად განისაზღვრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შესაბამისად, კოდექსში სამინისტროს ვალდებულებები გარემოსდაცვითი შეფასების კანონზომიერად ჩატარების მიმართულებით საკმაოდ გაფართოვდა. ამავე დროს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კუთხით, განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილება, რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, პასუხისმგებელი იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კუთხით, რადგან ესა თუ ის სტრატეგიული დოკუმენტი შესაძლოა გავლენას ახდენდეს ადამიანების ჯანრთელობასა და მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (ზოგადი მიმოხილვა):
კოდექსის მიხედვით დაინერგა გარემოზე ზემოქმედების ახალი პროცედურა, რომელმაც განსხვავებულად დაარეგულირა უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობები.

პირველ რიგში, დირექტივის შესაბამისად, განისაზღვრა საქმიანობათა ახალი ჩამონათვალი, გარემოზე ზემოქმედების რისკებისა და ხარისხის გათვალისწინებით. ეს საქმიანობები ორ სხვადასხვა დანართში განთავსდა. პირველ დანართში გვხვდება იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ხოლო მეორე დანართში განთავსებული საქმიანობებისთვის ჯერ ჩატარდება შეფასების, ე.წ. სკრინინგის პროცედურა და მის საფუძველზე დადგინდება გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების აუცილებლობა. კანონის ტერმინთა განმარტების ნაწილში სკრინინგის პროცედურა განმარტებულია, როგორც პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროებას. ხოლო, პირველ დანართში არსებული საქმიანობებისთვის კოდექსმა შემოიღო სკოპინგის პროცედურა, რაც განსაზღვრავს გზმ-სთვის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელ და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს. ამასთან, კოდექსით, სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურები ერთ ეტაპად ერთიანდება, რაც საქმიანობის განმახორციელებს აძლევს საშუალებას უფრო მოკლე ვადაში მიიღოს პასუხი. სკრინინგის პროცედურის დროს საკმარისია საქმიანობის განმახორციელებელმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიაწოდოს განსახორციელებელი საქმიანობის მოკლე აღწერა, მისი ადგილმდებარეობის, მახასიათებლებისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. სკრინინგის პროცედურისთვის დადგენილი გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს არა ნაკლებ 10 და არა უმეტეს 15 დღისა. რაც შეეხება სკოპინგის პროცედურას, იგი წარმოადგენს გარემოზე შეფასების პროცედურის სანყის ეტაპს. ამ დროს, საქმიანობის განმახორციელებელი სამინისტროს წარუდგენს სკოპინგის ანგარიშს. მისი მიზანია განისაზღვროს იმ ინფორმაციისა და კვლევების ჩატარების ფარგლები რის საფუძველზეც უნდა მომზადდეს გზმ-ს ანგარიში. შედეგად, საქმიანობის განმახორციელებელს ექნება შესაბამისი ინფორმაცია იმისა, თუ რა კვლევები ჩაატაროს და რა ინფორმაცია ასა-

¹⁹ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, თავი 2, მუხლი 5.2

ხოს ანგარიშში. ამრიგად, სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა აადვილებს გზმ-ს ანგარიშის მომზადებას საქმიანობის განმახორციელებლისთვის.

სკოპინგის ეტაპები: პირველ ეტაპზე სამინისტროს წარედგინება სკოპინგის ანგარიში, შემდეგ ამ ანგარიშთან დაკავშირებით ტარდება საჯარო განხილვა და ხდება სამინისტროს მიერ შესაბამისი დასკვნის გაცემა. პროცედურის ვადებია 26 – დან 30 დღემდე. ამის შემდეგ საქმიანობის განმახორციელებელს 2 წლის ვადა აქვს გარემოსდაცვით გადანყვეტილების მისაღებად²⁰.

კოდექსით მოხდა გარემოსდაცვით გადანყვეტილების გაცემის პროცედურის დანერგვა. ამ ეტაპზე საქმიანობის განმახორციელებელი სამინისტროს წარუდგენს გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშს, მოხდება საჯარო განხილვა და გაიცემა გარემოსდაცვითი გადანყვეტილება. სამინისტრო გადანყვეტილების მიღების პროცესში ითვალისწინებს ესპექტივისა და საზოგადოების მიერ მონოღებულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. ეს პროცედურა მოიცავს 51-55 დღეს.²¹

კოდექსით განისაზღვრა გარემოსდაცვითი საქმიანობის უარის თქმის კონკრეტული საფუძვლები. ასეთია, საქმიანობის განხორციელებით საქართველოს კანონდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება, აგრეთვე თუ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით ან/და ესპექტივის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ზომების მიღების შეუძლებლობა²².

კოდექსი ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლების საფუძვლებს. თუ საქმიანობის განმახორციელებლის მიზანია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ღონისძიებების გატარება. ამ დროს საქმიანობის განმახორციელებელი წარუდგენს სამინისტროს დასაბუთებულ განცხადებას, რომ გზმ-ს პროცედურამ შეიძლება შეაფერხოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების დროულად განხორციელება. ამ გადანყვეტილებას საბოლოოდ იღებს მთავრობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის წარდგინების საფუძველზე²³.

კოდექსით ასევე დადგენილია საქმიანობის შემდგომი ანალიზი, რაც გულისხმობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დროს მიღებული დაშვებების ერთგვარ მონიტორინგს²⁴.

მნიშვნელოვანია, რომ გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღების ვადლდებულება გავრცელდება როგორც კერძო, ისე იურიდიულ პირებზე და ადმინისტრაციულ ორგანოებზეც, რათა უზრუნველყოფილი იყოს გარემოსდაცვითი პრინციპების გატარება ყველა სუბიექტის მიერ.

2011/92 დირექტივა ითვალისწინებს ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულირებასაც, თუმცა, აღნიშნული ქართული კანონმდებლობით დარეგულირდება ცალკე კანონით და მასზე გავრცელდება დირექტივის მოთხოვნები. გადანყვეტილების გაცემის პროცედურა გადაეცემა სსიპ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს.²⁵ აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების დამტკიცების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანით, 2017 წლის 26 დეკემბერს²⁶.

20 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 8;9;

21 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, თავი 2, მუხლი 5

22 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 14

23 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 16

24 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 17

25 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, თავი 2, მუხლი 5.7

26 ბრძანება ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების დამტკიცების შესახებ, თავი XLIII

გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს დაჯარიმებას, პირობების გამოუსწორებლობა ჯარიმის გასამმაგებას. ამის შემდგომ სუბიექტს კიდევ ეძლევა გონივრული ვადა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და კანონის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში კიდევ ერთხელ ეკისრება გასამმაგებელი ჯარიმა. ხოლო გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, პირობების შეუსრულებლობის შეთხვევაში სამინისტრო აუქმებს გარემოსდაცვით გადანყვეტილებას.²⁷

კოდექსმა საქართველოში შემოიტანა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა²⁸. სგშ წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვისა და გადანყვეტილების მიღების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ძირითად ინსტრუმენტს. სგშ უნდა ჩატარდეს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაგეგმილი საქმიანობების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი შედეგების შესწავლა და გათვალისწინება გადანყვეტილების მიღების პროცესის ადრეულ ეტაპზე, გადანყვეტილების მიღებამდე; და აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნეს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და საზოგადოებასთან საჭირო კონსულტაციების ჩატარება. შედეგად, სგშ ზრდის დაგეგმვისა და გადანყვეტილებების მიღების პროცესების ხარისხს და შესაბამის შედეგების დადგომის შანსს. ის ხელს უწყობს საკვანძო სტრატეგიული გადანყვეტილების მიღებას და სტრატეგიული დოკუმენტების ეფექტიანად განხორციელებას. ამ დოკუმენტებში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სგშ-ს პროცესი მოიცავს სკოპინგს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის (სგშ-ს ანგარიში) მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების ჩატარებასა და მათი შედეგების საფუძველზე დასკვნების გაკეთებას, სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისა და დამტკიცებისას ამ და სხვა ინფორმაციის გათვალისწინებას. კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სგშ უტარდება ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომლებიც ადგენენ სამომავლო განვითარების ჩარჩოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართში განსაზღვრული საქმიანობებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან გზშ-ს და ეკუთვნის შემდეგ სექტორებს: სოფლის მეურნეობა; სატყეო მეურნეობა; თევზჭერა; ენერგეტიკა; მრეწველობა; ტრანსპორტი; ნარჩენების მართვა; წყლის რესურსების მართვა; ელექტრონული კომუნიკაციები; ტურიზმი; დაგეგმარება და სივრცითი მონაცემები²⁹. არსებობს გარკვეული ტიპის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებთან მიმართებითაც უნდა გადანყვეტილებები ჩატარდეს თუ არა ისინი სგშ-ს. ამ პროცედურას, ისევე როგორც გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილში, სკრინინგი ეწოდება. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტებია: სტრატეგიული დოკუმენტი და მასში გატარებული ცვლილებები, თუნდაც ის არ ცვლიდეს დოკუმენტის კონცეპტუალურ ხასიათს; აგრეთვე სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ეხება თვითმმართველი თემის ტერიტორიას, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა; სტრატეგიული დოკუმენტი, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობისთვის ზემოთ ჩამოთვლილ სექტორებში. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 16-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გარდა იმ სტრატეგიული დოკუმენტებისა, რომლებსაც სავალდებულოა სგშ და სკრინინგი, არსებობს სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც არ ექვემდებარებიან სგშ-ს – ეს არის ისეთი სტრატეგიული დოკუმენტები, რომელთა ერთადერთ მიზანს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა ან ფორსმაჟორული მდგომარეობით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება წარმოადგენს³⁰

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა დამგეგმავი ორგანო ვალდებული იქნება დაასაბუთოს, რატომ არ ითვალისწინებს ამ რეკომენდაციებს.

27 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი მუხლი 46

28 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი, თავი 3

29 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 20

30 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, თავი I, მუხლი 16, პუნქტი 1

რაც შეეხება საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობას, კოდექსით გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მიერ შენიშვნებისა და მოსაზრებების ელექტრონულად და წერილობით წარდგენის საშუალებები. ეს ჩართულობა უზრუნველყოფილია როგორც სკრინინგის, ისე სკოპინგის და გარემოსდაცვითი გადანყვეტილების, სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციის გაცემის პროცესშიც³¹.

გარდა შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფისა, გადანყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გადანყვეტილებაში დასაბუთებულად ასახოს ყველა ის მოსაზრება, რაც წარმოდგენილია საზოგადოების მიერ და მიზანშეწონილობის შემთხვევაში გაითვალისწინოს გადანყვეტილების მიღებისას. საჯარო განხილვების უზრუნველყოფა კოდექსის მიხედვით უკვე სამინისტროს ვალდებულებაში შედის³².

კიდევ ერთი ვალდებულება, რაც დირექტივებიდან გამომდინარეობდა არის ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა³³, რაც გულისხმობს ზოგადი საქმიანობით ან სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული პირობების შესრულებით, უცხო ქვეყნის გარემოზე ზემოქმედების შემთხვევაში, ამ ქვეყნის ჩართულობას გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებისას. პროცედურა ჩატარდება მაშინაც, როცა საქართველოს გარემოზე ხდება ზემოქმედება სხვა სახელმწიფოში დაგეგმილი საქმიანობის ან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად. ტრანსსასაზღვრო შეფასება სავალდებულოა ასევე მაშინ, როდესაც მეორე სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გარემოსდაცვით სფეროში ნაკისრი აქვს მსგავსი ტიპის ვალდებულება ან საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის გაფორმებულია ორმხრივი ხელშეკრულება გარემოზე ტრანსსასაზღვრო პროცედურების განხორციელების თაობაზე. გადანყვეტილებას საქმიანობის ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების დაქვემდებარების თაობაზე იღებს საქართველოს მთავრობა სამინისტროს შუამდგომლობით³⁴.

კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში საექსპერტო კომისიის შექმნას, რომელიც დამოუკიდებელ პირებს აერთიანებს. გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღების პროცესში კომისია ატარებს წარდგენილი დოკუმენტების ექსპერტიზას და მისი დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა. დასკვნა წარედგინება სამინისტროს.

კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ხარისხი კანონდარღვევის შემთხვევაში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციით 2018 წელს გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დარღვევის 84 ფაქტი გამოვლინდა. მონაცემების მიხედვით, დარღვევის ფაქტები 2017 წელთან შედარებით ნაკლებია. ამასთან, მინისტრის ბრძანებით დარეგულირდა შემონმების წესი და პირობები, რის საფუძველზეც ხორციელდება გეგმიური და არაგეგმიური შემონმები³⁵. გარდა ამისა მოქმედებს ცხელი ხაზი, სადაც შესაძლებელია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შეტყობინება. დეპარტამენტი აქვეყნებს დარღვევის ფაქტებს, დაკისრებული ჯარიმების ოდენობას, რეგულირების ობიექტების შემონმების გეგმების, პრევენციული ზომებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და ყოველივე ამას ხელმისაწვდომს ქმნის საზოგადოებისთვის.

გარდამავალი პერიოდისთვის, ევროკავშირის პრაქტიკის გათვალისწინებით, შემოღებული იქნა გეგმა-გრაფიკები საქმიანობის იმ განმახორციელებლებისათვის, რომლებმაც ვერ მოასწრეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიღება. თუმცა, გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული გარდამავალი პერიოდის შემოღებით, ბევრი მიმდინარე საქმიანობის განმახორციელებელი ისარგებლებდა და არ მოექცეოდა უფრო მკაცრი გარემოსდაცვითი ნორმების ქვეშ.

31 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, თავი IV
32 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 35
33 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 19
34 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 4.1.ბ
35 გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში, 2018
<http://www.des.gov.ge/Ge/Reports>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კოდექსით ასევე განისაზღვრა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შეუსრულებლობას და შესაბამისი ზომების მიღების მექანიზმებს. ეს მექანიზმები გულისხმობს გარკვეული ჯარიმების დაწესებას კანონდარღვევის სხვადასხვა შემთხვევაში. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების განმეორებითი დარღვევა გამოიწვევს ჯარიმის გასამმაგებას, ხოლო შემდგომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმებას.³⁶ კოდექსმა გაითვალისწინა ამ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგადი წესიც.

36 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 49

გამოვლენილი ხარვეზები

კოდექსი ძალაში შევიდა ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე განსაზღვრული იყო ზოგადი დებულებების 2017 წლის 1 სექტემბრისათვის ამოქმედება. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ პროცედურები ძალაში უნდა შესულიყო საეთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ. რაც შეეხება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას, მისი ამოქმედება გათვალისწინებული იყო მხოლოდ 2018 წლის 1 ივლისიდან, რადგან საჭირო იყო შესაბამისი ცვლილებების განახორციელება სხვა სამინისტროებშიც. თუმცა, კოდექსის ზოგადი დებულებები ძალაში შევიდა მხოლოდ 2018 წელს. ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენცია (ესპოს კონვენცია) და ტრანსსასაზღვრო კონტექსტში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ოქმი (კიევის პროტოკოლი) საქართველოს მხრიდან ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს მომზადდა ახალ კოდექსში შესატანი მთელი რიგი ცვლილებები, რაც კანონპროექტის განმარტებით განპირობებული იყო პრაქტიკაში არსებული და გამოვლენილი ხარვეზებით. გარდა მცირე ტერმინოლოგიური ცვლილებებისა, ხარვეზების უდიდესი ნაწილი ეხება განმახორციელებელ უწყებას და მოსაკრებლის საკითხს. გარდა ამისა, მწვანე ალტერნატივისა და გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ჯგუფის განცხადებიდან³⁷ ჩანს, რომ საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა სათანადოდ ამ დრომდე მაინც ვერ ხერხდება, იქნება ეს გარემოსდაცვითი გადანყვეტილების თუ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საკითხი.³⁸ ახალ კოდექსში ცვლილება ეხება სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მანდატის შეცვლას. კერძოდ, ახალი რედაქციით, აღნიშნული ფუნქცია უნდა გადაეცეს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. ამ ცვლილების დასაბუთებაში ვკითხულობთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გააჩნია უფრო მეტი საექსპერტო ცოდნა, უფრო იოლი და მოქნილი წვდომა გარემოს საინფორმაციო ბაზებთან. ამასთან, გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ხშირად იმყოფებიან მივლინებებში და უფრო ეფექტურად მოახერხებენ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ადგილზე შემოწმებას. ეს შეამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებსაც, რისი გაღებაც ამ ეტაპზე სამინისტროს უნევს. როგორც უკვე ვთქვით, აღნიშნული ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა. ბუნებრივია, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემის ფუნქციის სამინისტროდან სსიპისთვის გადაცემის შესაძლებლობამ არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია. გამოითქვა მოსაზრება, რომ სააგენტო ფუნქციურად სრულიად სხვა მიზანს ემსახურება, ამიტომ სამინისტრო უნდა იყოს აღნიშნული გადანყვეტილების მიმღები. საერთაშორისო პრაქტიკაც სხვადასხვაგვარია, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემი ორგანო არის ისეთი სტრუქტურა, რომელიც იმავე დროს გაცემს სხვა ტიპის ნებართვებსაც. ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მაქსიმალურად შემცირდეს დამატებითი ადმინისტრაციული ხარჯები. თუმცა, ხშირ შემთხვევაში გარემოსდაცვითი შეფასება მთლიანად არ არის გადაცემული რომელიმე სააგენტოს დაქვემდებარებაში და ფუნქციები დაყოფილია ცენტრალურ და რეგიონულ თუ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი იქნება, რომ საქართველოშიც გაიმიჯნოს ორგანოების ფუნქციები. შესაძლებელია სკრინინგის და სკოპინგის პროცედურების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გადატანა, თუმცა, საზოგადოების ჩართულობისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილში ეს არ იქნება ეფექტური. სააგენტოს, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ფუნქციურად არ შეიძლება დაეკისროს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განხორციელება, ის სამინისტროს ფუნქციაში უნდა დარჩეს, ისევე როგორც, საზოგადოების ჩართულობის და

37 გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხზე მომუშავე ჯგუფის განცხადება საქართველოში ვიზიტის დასრულების შემდგომ, თბილისი, 2019 წლის 12 აპრილი

http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:QHeWn3D616IJ:ungeorgia.ge/uploads/2019-04-12STATEMENT_WGBHR_GEORGIA_geo_informal.docx+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge

38 მწვანე ალტერნატივა: სამინისტრო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ნორმებს შერჩევით იყენებს <http://liberali.ge/news/view/34430/mtsване-alternativa-saministro-garemosdatsviti-shefasebis-kodeqsis-normebs-shechivit-iyenebs>

ინფორმირებულობის ვალდებულება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელია სამინისტროს (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების) ჩართულობა ნავთობისა და გაზის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით. რადგან ახალი კოდექსის მიხედვით აღნიშნული საკითხი ცალკე რეგულირების საგანია, აუცილებელია მონიტორინგის განხორციელება, რასაც ცენტრალური უწყება უნდა აკეთებდეს.

ევროპულ პრაქტიკაში ასევე გამოიკვეთა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ხარისხის საკითხი. ხშირ შემთხვევაში გამოვლინდა, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები არ შეესაბამებოდა დირექტივის მიზნებს³⁹. ამიტომ მნიშვნელოვანია, ცვლილების პროექტის მე-10 მუხლს დამატოს პუნქტი, რომელიც გაამკაცრებს პასუხისმგებლობის ხარისხის საკითხს იმ პირების/კონსულტანტების მიმართ, რომლებიც აღნიშნულ დოკუმენტს ამზადებენ. რამდენად მოხდება აღნიშნული პრობლემის გადაჭრა, ამას პრაქტიკა გვიჩვენებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებული კოდექსით შესაძლებელი იყო უფრო დეტალურად განმარტებულიყო ხარისხის გაუმჯობესების სტანდარტები. მაგალითად, იმ კონსულტანტების აკრედიტაციის საკითხი, რომლებიც ახორციელებენ გარემოსდაცვით შეფასებას; დამოუკიდებელი გარე ექსპერტის აყვანის წესები; სპეციალურ პროექტებზე კონკრეტული სახემძღვანელო დოკუმენტის შემუშავების საკითხი; გამოყენებული მონაცემების ვადებზე ყურადღების გამახვილების თემა და ა.შ.

კოდექსის ცვლილება ასევე ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისათვის მოსაკრებლის ნაცვლად მომსახურების საფასურის დადგენას, რომელიც იქნება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დაფინანსების წყარო. მომსახურების საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად, თითოეული საქმიანობის საპროექტო ღირებულებიდან გამომდინარე. ინვესტორის მიერ გადახდილი საფასური შევა უშუალოდ სააგენტოს ბიუჯეტში. ეს ცვლილება მოწმობს იმას, რომ ბიუჯეტის ნაწილში აქამდე განხორციელებული ცვლილებები არც ადამიანური რესურსების მობილიზების და არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან შესასრულებელი სამუშაო, რომელიც მანამდე პროექტის განმახორციელებელს ეკისრებოდა, ცვლილებით – სამინისტროს ფუნქციებში გადადის. აღმოჩნდა, რომ მოსაკრებლის ოდენობა გარკვეულ შემთხვევებში ვერ ფარავდა იმ ხარჯებს, რაც აუცილებელი იყო კოდექსით დადგენილი ყველა პროცედურის განსახორციელებლად. როგორც აღვნიშნეთ, ცვლილების გათვალისწინებით მოსაკრებელი კონკრეტული პროექტის მიხედვით დაანგარიშდება. ამგვარი მიდგომა მიღებულია ევროპულ პრაქტიკაშიც,⁴⁰ სადაც საფასურის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრებია დადგენილი. მომსახურების საფასურის პროექტის სიდიდის მიხედვით გამოთვლა უფრო მოქნილი და კონკრეტულ პროექტზე მორგებული მექანიზმია. ის ხელს შეუწყობს მოსამზადებელი სამუშაოების იმ დონეზე ჩატარებას, რაც აუცილებელია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად. ამა თუ იმ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მაქსიმალურად იქნება გამოთვლილი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის შექმნილი შესაძლო რისკები.

გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ ანგარიშში ნათქვამია, რომ „ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნება გარემოსდაცვითი კანონალსრულებისა და ზედამხედველობის მიმართულებით. თუმცა, კანონმდებლობის განვითარება ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ზედამხედველობის დეპარტამენტს და სხვა უწყებებს, რომლებიც ამ პროცესში არიან ჩართულები. ახალი მიდგომები (სგმ, გზმ, ემისიების ზღვრულ მოცულებებზე გადასვლა, ინტეგრირებული ნებართვების გაცემა, საფრთხეების მართვის კონტროლი და ა. შ.) მოითხოვს ინსპექტირების პროცესისა და პროცედურების გარდაქმნას, ინსპექტორების კვალიფიკაციის ამაღლებას, დარგობრივი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას, მონიტორინგისთვის საჭირო ახალი აღჭურვილობის უზრუნველყოფას და ელექტრონული სისტემის დანერგვას, რაც ინსპექტირების

39 European commission, DG Environment, Study concerning the report on the application and effectiveness EIA directive; http://ec.europa.eu/environment/archives/eia/pdf/eia_study_june_09.pdf

40 Costs and benefits of the EIA directive, final report, DG Environment <http://ec.europa.eu/environment/eia/pdf/Costs%20and%20benefits%20of%20the%20EIA%20Directive.pdf>

შესახებ ანგარიშგებისათვის არის საჭირო.⁴¹ შესაბამისად, ანგარიშში გაიწერა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც ჯერ კიდევ განსახორციელებელია კანონმდებლობის სათანადოდ აღსრულების უზრუნველსაყოფად, რაც ანგარიშის მიხედვით 2021 წლამდე უნდა შესრულდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი დეტალი, კერძოდ ის, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ეყრდნობა ევროკავშირის ძველ 2011/92 დირექტივას, რომელიც შეიცვალა 2014/52 დირექტივით. ახალი დირექტივის მიზანი იყო იმ ოცდახუთწლიანი გამოცდილების გაზიარება, რაც გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის დაწყებიდან დღემდე დაგროვდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ახალი დირექტივის ძირითადი ცვლილებებია სხვადასხვა ვადების დაწესება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ოცდაათწლიანი საჯარო განხილვების აუცილებლობა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კი უნდა მოხდეს „გონივრულ ვადებში“ უფლებამოსილი ორგანოს მიერ. სკრინინგის პროცედურა გამარტივდა, ისევე როგორც საზოგადოებისთვის გასაგები ენით დაწერილი გარემოსდაცვითი ანგარიშები. ვადების დაცვის თვალსაზრისით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს ახალი დირექტივის მოთხოვნებს. რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, დადებითი ცვლილებაა სკრინინგის კრიტერიუმებში, რომლის მიხედვითაც ფასდება ამა თუ იმ პროექტზე გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების საკითხი. დამატებულია კლიმატის ცვლილებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების რისკების გათვალისწინების აუცილებლობა სკრინინგის დროს, ასევე უფრო მეტად არის გამაზვიანებელი ყურადღება ამა თუ იმ პროექტის გარემოზე ზემოქმედების ინტენსივობასა და ხანგრძლივობაზე.

რაც შეეხება გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, რომელიც კოდექსის მიხედვით ცალკე კანონით უნდა დარეგულირებულიყო, მისი პროექტი არსებობს, ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, თუმცა, ამ დრომდე ვერ მოხერხდა პარლამენტის მიერ მისი დამტკიცება, რაც თავისთავად უკვე გულისხმობს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვადების დარღვევას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, ტერმინების გამოყენების საკითხი, ასე ვთქვათ, ტერმინოლოგიური სირთულეებიც. კონკრეტულად, ეს შეიძლება ეხებოდეს ტერმინებს: „სკრინინგსა“ და „სკოპინგის“. უმჯობესი იქნებოდა ქართული შესატყვისების მოძებნა და დამკვიდრება, რაც ბიზნეს-სექტორს, ინვესტორებსა და დაინტერესებულ პირებს მისცემდა საშუალებას უფრო მარტივად აღექვათ კონკრეტული პროცედურის არსი და შესაბამისად, ადვილად განესაზღვრათ თუ რომელს ექვემდებარება ესა თუ ის საქმიანობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე დირექტივების ძირითადი მოთხოვნები შესულია კანონმდებლობაში. არსებობს ცვლილებების პროექტი, სადაც შესულია საკითხები, რომლებიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში უნდა აისახოს (მათზე დეტალურად ზემოთ უკვე ვისაუბრეთ). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასოცირების შეთანხმებით დადგენილი ვადები მთელ რიგ შემთხვევებში დაირღვა და არ შეესაბამება სამოქმედო რუქით განსაზღვრულ ვადებს.

ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივის იმპლემენტაციამ ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკამ და შესაბამისმა ხარჯთეფექტიანობის ანალიზმა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოკვეთა: პირველი ის, რომ ყოველი მასშტაბური პროექტის დასაწყისშივე იწყება გარემოსდაცვითი საკითხების გაანალიზება და მეორე – საზოგადოების ინფომირებულობა და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკმაოდ გაზრდილია. თითოეულ პროექტზე საზოგადოება და დაინტერესებული პირები გამოიხატავენ თავიანთ მოსაზრებებსა და შეხედულებებს. ამასთან, გამოიკვეთა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებე-

41 საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა <http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95.aspx>

ბის ხარისხის გაუმჯობესებაც, შესაბამისად, სტრატეგიულ დოკუმენტებშიც მეტად აისახება გარემოსდაცვითი მიმართულებები.⁴²

ვიმედოვნებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის აღსრულება საქართველოში იმგვარ პროცესებს შეუწყობს ხელს, რაც გაზრდის ცალკეული პროექტების განხორციელებისას საზოგადოების მხრიდან ნდობასა და ჩართულობას. რიგი დანერგილი დირექტივებისა ირიბად თუ პირდაპირ მოახდენს ზეგავლენას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ეფექტურ განხორციელებაზე. ასეთი დირექტივებია: გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, სამრეწველო ემისიების, მასშტაბური ავარიების და სხვა. ისინი ურთიერთდაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ და ერთობლიობაში ქმნიან გარემოსდაცვითი სახელმძღვანელო პრინციპების ჩარჩოს. თუმცა, ზოგადი ჩარჩოს გარდა, აუცილებელი იქნება უამრავი კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტისა თუ სახელმძღვანელო დოკუმენტის მიღება, რომელიც კანონის განხორციელების დეტალურ და სრულ პირობებს დაადგენს.

42 REPORT FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS On the application and effectiveness of the EIA Directive (Directive 85/337/EEC, as amended by Directives 97/11/EC and 2003/35/EC) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52009DC0378&from=EN>

ბამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი;
<https://www.matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=2>
 - საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესახებ“;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4249903?publication=0>
 - ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების და მათ ნევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ საქართველოს შორის;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>
 - 2011 წლის 13 დეკემბრის N2011/92/EU დირექტივა „გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“;
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32011L0092>
 - 2001 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/42/EC დირექტივა „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“; ევროკავშირის 2003/4/EC დირექტივა „საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ“;
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32001L0042>
 - 2003 წლის 26 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/35/EC დირექტივა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ;
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32003L0035>
 - 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას;
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32004L0035>
- საქართველოს გარემოს დაცვის მესამე ეროვნული პროგრამის დამცვიცების შესახებ; http://gov.ge/files/495_65924_530178_1124.pdf
- ვიდეო სტრატეგიული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ; <https://www.youtube.com/watch?v=lkcW5ghQAgs&t=363s>
 - საქართველოში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გამოყენების სახელმძღვანელო; https://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/documents/EaP_GREEN/1_Homepage/Georgia/Final_SEA_Guidelines_GEO.pdf
 - საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, თავი 5, მუხლი 14, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13/12/2017; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3938064?publication=3>
 - საქართველოს მთავრობის დადგენილება #572 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების დამცვიცების შესახებ; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3502393?publication=0>
 - ევროკავშირთან აპროქსიმაციის საგზაო რუკა გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების სფეროში; ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი ნაწილის აპროქსიმაციის პროცესის მხარდაჭერა, საქართველო. იანვარი, 2016 – იანვარი, 2017;

<http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/evrokavshirtan-asocirebis-pr-ocesi/saqarTvelosa-da-evrokavSirs-Soris-asocirebis-Sesaxeb-SeTanxmebis-garemosdacviTi-nawilis-ganxorcielebis-sagzao-ruka.pdf>

- საქართველოს პარლამენტის ასოცირების პორტალი;
<http://aa.ge/>
- ბრძანება ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების დამტკიცების შესახებ, თავი XLIII, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/53170?publication=10>
- Report from the commission to the council, the European parliament, the European economic and social committee and the committee of the regions on the application and effectiveness of the EIA Directive (Directive 85/337/EEC, as amended by Directives 97/11/EC and 2003/35/EC
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52009DC0378&from=EN>
- Costs and Benefits of the EIA directive, final report, DG Environment <http://ec.europa.eu/environment/eia/pdf/Costs%20and%20benefits%20of%20the%20EIA%20Directive.pdf>
მწვანე ალტერნატივა: სამინისტრო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ნორმების შერჩევითი გამოყენების შესახებ;
- <http://liberali.ge/news/view/34430/mtsvane-alternativa-saministro-garemosdatsviti-shefasebis-kodeqsis-normebs-shechveit-iyenebs>
- European commission, DG Environment, Study concerning the report on the application and effectiveness EIA directive; http://ec.europa.eu/environment/archives/eia/pdf/eia_study_june_09.pdf
გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხზე მომუშავე ჯგუფის განცხადება საქართველოში ვიზიტის დასრულების შემდგომ, თბილისი, 2019 წლის 12 აპრილი;
- http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:QHeWn3D616IJ:ungeorgia.ge/uploads/2019-04-12STATEMENT_WGBHR_GEORGIA_geo_informal.docx+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge